საქართველო

ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის

შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახური

ხულოს მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ი „ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება“

შიდა აუდიტორული ანგარიში

(01.01.2018 წ. - 31.12.2018 წ.)

ხულო

2019 წ.

აუდიტის ობიექტი - ა(ა)იპ „ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება'

აუდიტის ობიექტის მისამართი - დ.ხულო, რუსთაველის ქუჩა №13

თემა - შესაბამისობის აუდიტი

შესაბამისობის აუდიტის საფუძველი - ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის, 2018 წლის 26 დეკემბრის № 1125 ბრძანებით დამტკიცებული, ხულოს მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის წლიური სამუშაო გეგმა.

აუდიტის ჯგუფი - ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახურის უფროსი ზვიად თავართქილაძე, უეფროსი სპაციალისტები რამაზ აბულაძე და სოფიკო ქონიქაძე

აუდიტის ვადა - 01.10.2019 წ. – 31.10.2019 წ.

აუდიტის პერიოდი - 01.01.2018 წ – 31.12.2018 წ

ჩვენს მიერ განხორციელდა ა(ა)იპ „ხულოს მუნიციპალიტეტის ბაღების გაერთიანების“ შესაბამისობის აუდიტი, რომელიც მოიცავს 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე განვლილ პერიოდს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალიტეტის ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია გაწეული საქმიანობის კანონიერებასა და მიზნობრიობაზე, ნაერთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე " საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების "ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ", საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის "ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" №364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას შენარჩუნებას; რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ უზუსტობებს.

აუდიტორების პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ამ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვას და ჩატარებას, მივიღოთ გონივრული რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს. მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს ა(ა)იპ-ს მდგომარეობას 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე.

საქმიანობის მიმოხილვა:

ძირითადი განმარტებანი

,,ხულოს ბაღების გაერთიანების" სადამფუძნებლო დოკუმენტაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობის ანალიზი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ,,ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება" დაფუძნებულია ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 15 დეკემბრის №63 განკარგულებით და იგი არის წევრთა მდგომარეობისაგან დამოუკიდებელი კავშირი. ამავე განკარგულებით დამტკიცებულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ,,ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების" (შემდგომში - გაერთიანება) წესდება.

გაერთიანებას აქვს საკუთარი ბალანსი და ანგარიში კომერციულ ბანკში. ასევე აქვს ბეჭედი, შტამპი და სტატუსის განმსაზღვრელი სხვა შესაბამისი რეკვიზიტები.

გაერთიანება ახორციელებს თავის საქმიანობას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, წესდების და საკუთარი შინაგანაწესის საფუძველზე.

გაერთიანება შექმნილია განუსაზღვრელი ვადით. გაერთიანების იურიდიული მისამართია: ხულოს მუნიციპალიტეტი, დაბა ხულო რუსთაველის ქ.№13.

წესდება, ზოგადად, სრულად მოიცავს ,,ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების" საქმიანობასა და მიზნებს, განსაზღვრულია ყველა ის მონაცემი, რაც აუცილებელია მისი სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის, განსაზღვრულია ასევე მისი ვალდებულებები.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ხარჯვის მდგომარეობა და კანონიერება.

ა(ა)იპი ხულოს მუნიციპალიტეტის ბაღების გაერთიანების 2018 წლის დამტკიცებული საბიუჯეტო ასიგნებები განისაზღვრა 1 494 251 ლარით, ამავე პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 1 493 762 ლარი. ე.ი. დაგეგმილი ბიუჯეტით გათვალისწინებულზე 489 ლარით ნაკლები. ბიუჯეტის შესრულება შეადგენს 99.98 %.

მუხლობრივ ჭრილში შესრულება შემდეგნაირია

შრომის ანაზღაურება პრემიის ჩათვლით გეგმით გათვალისწინებული იყო 874 835 ლარის ასიგნება, გაწეულია საკასო და ფაქტობრივი ხარჯი 874 795 ლარი.

საქონელი და მომსახურება მუხლით გეგმით გათვალისწინებული იყო 600 222 ლარის ასიგნება, გაწეულია საკასო ხარჯი ლარი 599787, სხვაობამ შეადგინა 435 ლარი.

შტატგარეშე მოსამსახურეთა ხელფასი შეადგენს 91 868 ლარი, გაწეულია საკასო და ფაქტობრივი ხარჯი 91867 ლარი.

მივლინების ხარჯების მუხლით - გეგმით გათვალისწინებული იყო 800 ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 621 ლარი.

ოფისის ხარჯი დაზუსტებული ბიუჯეტით შეადგენდა 256 247 ლარს, ხოლო საკასო ხარჯი შეადგენს 256116 ლარს, დაგეგმილზე 131 ლარით ნაკლებს.

კვების ხარჯების მუხლით - გეგმით გათვალისწინებული იყო 230 777 ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 230 743 ლარი, სხვაობა საკასო ხარჯსა და დაზუსტებულ გეგმას შორის არის 34 ლარი.

სამედიცინო ხარჯების მუხლით - გეგმით გათვალისწინებული იყო 1440 ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1440 ლარი.

სოციალური უზრუნველყოფის მუხლით დაგეგმილი იყო 2860 ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 2860 ლარი.

საშტატო სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის აუდიტი:

ხულოს მუნიციპალიტეტის ბაღების გაერთიანების 2018 წლის საშტატო განრიგი გეგმით გათვალისწინებული იყო 229 საშტატო ერთეული. ხელშეკრულებით აყვანილია 41 თანამშრომელი.

მატერიალურ ფასეულობათა მიღების, აღრიცხვის, დაცვის და გამოყენების მდგომარეობა

ა(ა)იპი ხულოს მუნიციპალიტეტის ბაღების გაერთიანების მიერ 2018 საანგარიშო წელში არ არის ჩატარებული ინვენტარიზაცია, შესაბამისად არც საინვეტარიზაციო კომისია არ არის შექმნილი, რომელმაც ყოველწლიურად უნდა განახორციელოს არსებული აქტივების აღრიცხვა და საჭიროების შემთხვევაში არსებული აქტივების კანონისა და წესების შესაბამისად ჩამოწერა.

ა(ა)იპი ხულოს მუნიციპალიტეტის ბაღების გაერთიანებამ დაიცვას ქონების მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის წესი, „ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N 605 საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნების და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ.

დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N 605 საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის წესის შესახებ.

რეკომენდაცია:

ინვენტარიზაციის დროს გათვალისწინებული იქნას ფინანსთა მინისტრის ბრძანება N 605 საბიუჯეტო ორგანიზაციეში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის წესის შესახებ.

კვების, სანიტარულ- ჰიგიენური მდგომარეობის და უსაფრთხოების ნორმების მიმართულებით მდგომარეობა.

ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალიტეტის ბაღების გაერთიანებაში არსებულ ბაგა ბაღებში ბავშვების კვების ღირებულება განცხვავებულია, ერთი ბაშვის კვების ღირებულება ზოგ ბაღში 2,06 ლარია ზოგში 4,17 ლარი, განცხვავება ასეთი რაოდენიბის არ უნდა იყოს, მენიუ თითქმის ყველა ბაღში ერთნაირია. 7 ბაღში მონიტორინგის შდეგად დადგინდა.

N	ბაღის დასახელება	1 ბავშვის კვების ღირებულება (ინვარი 2018 წ)	1 ბავშვის კვების ღირებულება (ივნისი 2018 წ)
1	თხილვანა	2,06	2,63
2	ღურტა	2,04	2,56
3	დიოკნისი	3,17	3,87
4	კვატია	4,08	4,17
5	ფაჩხა	4,14	3,48
6	ქვადა ვაშლოვანი	2,6	2,52
7	ვერნები	3,55	4,17

საბავშვო ბაღების მიერ აღსაზრდელებზე ნორმების დარღვევით კვების პროდუქტების გაცემა, გარკვეულ ბაღებზე კვების პროდუქტების არასწორი გადანაწილება, საბიუჯეტო რესურსის მართვაში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს.

დაბა ხულოს ბაღის გოგოების და ბიჭების საპირფარეშო არის გვერდი გვერდ და კარები არა აქვს, წესების დაცვის მიხედვით საბავშვო ბაღის ყველა სართულზე უნდა არსებობდეს ტუალეტები ბიჭებისა და გოგონებისათვის, რომელსაც უნდა ჰქონდეს კარებიანი კაბინები (უმჯობესია ჩამკეტის გარეშე) კარი შიგნით უნდა იღებიდეს რათა თავიდან იქნას აცილებული ბავშვების დაზიანება. ხულოს ბაღში ასევე არასწორედ არის დამონტაჟებული პერსონალის კაბინეტების კარები, კარები უნდა იღებოდეს შიგნით.

რეკომენდაცია

ა(ა)იპ-ი ხულოს მუნიციპალიტეტის ბაღების გაერთიანებამ მუშაობა განახორციელოს სკოლამდელი და ზოგადსაგანანათლებლო დაწესებულებების მოწყობის, აღჭურვის და სამუშაო რეჟიმის სანიტარული წესების და ნორმების დაცვით

პირველადი დოკუმენტების წარმოება

არის შემთხვევები პროდუქტების ხარჯვის უწყისების არასწორედ წარმოებისა, ზოგ უწყისში ჯამი ნაკლებია ზოგში კი მეტი. დანისპარაულის ბაღის საკვები პროდუქტების გაცემის ნაერთში არა არის ნაჩვენები კვების დღეების რაოედენობა.

აღნიშნული ხარვეზი ერთეული ხასიათს ატარებს.

ბაღების მენეჯერების დანიშვმაზე ბრძანებები ხარვეზით არის გაფორმებული, არა არის სავალდებულო ბრძანების დაწერა ხელშეკრულებით მომუშავე პირზე, ხოლო ხელფასის რაოდენობის მითითება აუცილებელია, რაც არც ერთ ბრძანებაში არ არის მითითებული.

ადრინდელი და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულება

ხულოს მუნიციპალიტეტის არც ერთ ბაღში არ მოქმედებს საკუნსულტაციო საბჭო, რომელიც უნდა არსებობდეს ბაღის ეფექატური ფუნქციონირებისათვის, საბჭო რომლის წევრები არიან როგორც მშობლები, ასევე ამღზრდელი პედაგოგები, რომლებიც განიხილავენ და რეკომენდაციებს იძლევიან ბაღში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

რეკომენდაცია

ა(ა)იპ-ი ხულოს მუნიციპალიტეტის ბაღების გაერთიანებამ ბაღების ეფექტური ფუნქციონირებისათვის, გაამახვილოს ყურადღება, რომ ბავშთა ბაღებმა თავისი მუშაობა განახორციელონ საქართველოს კანონის, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ სრული დაცვით.

საბავშვო ბაღის ინფრასტრუქტურა

დაბა ხულოს საბავშვო ბაღის ეზოში მოწყობილი საბავშვო ატრაქციონები არ არის სათანადოდ მოწყობილი, შესაძლებელია იქ მოთამაშე ბავშვებს შეექმნათ საფრთხე ტრავმატიზმთან დაკავშირებით, კერძოდ ატრაქციონიდან ჩამოსასრიალებელის ბოლოს არ არის რბილი დასაშვები, პირიქით ბეტონის საფარია იქ სადაც ბავშვები ჩასრიალდებიან.

ქვედა ვაშლოვანის ბაღის შესასვლელი ზამთრის პერიოდში წარმოადგენს საფრთხეს, როგორც ბავშვებისათვის ასევე პერსონალისათვის, რადგან სახურავიდან თოვლის მასა კარის პირდაპირ ვარდება. საჭიროა სახურავს გაუკეთდეს დამცავი ზოლი, რომ არ ჩამოვარდეს თოვლის საფარი ან შესასვლელი გარკვეული პერიმეტრით გადაიხუროს, ისე რომ თოვლის საფარი ჩამოიცალოს გვერდით, რაც ააცილებს ადამიანთა დაზიანების რისკებს.

ჰიგიენის ზოგადი წესით დადგენილი მოთხოვნების დაცვა

ზოგიერთ ბაღებში არ არის დაცული ჰიგიენის ზოგადი წესით დადგენილი მოთხოვნები. ყინჩაურის საბავშვო ბაღში, ოქრაშვილების საბავშვო ბაღში, ღორჯომის საბავშვო ბაღში, დიოკნისის საბავშვო ბაღში, დიდაჭარის საბავშვო ბაღში.

კერძოდ:

ბაღებს არ გააჩნიათ პერსონალის ტუალეტი, სამზარეულოს იატაკს არა აქვს მოწყობილი დრენაჟი (ტრაპი), პერსონალს არა აქვს შესაბამისი სწავლება ან/და ინსტრუქტაჟი სურსათის ჰიგიენის საკითხებთან დაკავშირებით.

დარღვეულია სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოწყობის, აღჭურვიას და სამუშაო რეჟიმის სანიტარული წესების და ნორმების შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N 308/ნ ბრძანება.

რეკომენდაცია:

ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებამ საქმიანობა განახორციელოს სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოწყობის, აღჭურვიას და სამუშაო რეჟიმის სანიტარული წესების და ნორმების დაცვით.

ზემოთ აღნიშნულ ხარვეზების აღმოსაფხვრებლად, გაითვალისწინოს ბიუჯეტში და შესაბამისად შეიტანოს შესყიდვების გეგმაში.

შიდა აუდიტის და მონიტორინგის
სამსახურის უფროსი: / ზვიად თავართქილაძე /

უფროსი სპეციალისტი / რამაზ აბულაძე /

უფროსი სპეციალისტი / სოფიკო ქონიაძე /